საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (განახლებული NDC) სექტორებში საკანონმდებლო ინტერვენციების **ძირითადი მიმართულებები**

WFD

GEO
Georgia's Environmental Outlook

UKaid
from the British people

დოკუმენტი მომზადდა ავტორების მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) პროგრამის “გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის და დემოკრატიული მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში” ფარგლებში.

აღნიშნულ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის, ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდისა და Georgia’s Environmental Outlook (GEO) მოსაზრებებს.

დოკუმენტის ავტორები არიან:

ეკატერინე ოთარაშვილი

ნინო მალაშხია

რეცენზირება:

ხათუნა გოგალაძე

დოკუმენტზე მუშაობის პროცესს ხელმძღვანელობდნენ:

ლაშა ნაკაშიძე, ვესტმინსტერის დემოკტარიის ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი საკანონმდებლო ინტერვენციების ცხრილი ეფუძნება საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილთან (განახლებული NDC) დაკავშირებული სექტორების კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვას და ამ დოკუმენტის ნაწილია. მიმოხილვა და ინტერვენციების ცხრილი მოამზადა ქართულმა არასამეწარმეო არაკომერციულმა ორგანიზაციამ Georgia's Environmental Outlook (GEO) ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) მიერ მხარდაჭერილი "საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაციის პროგრამის" ფარგლებში. მიმოხილვის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების გამოვლენა, რომელიც აუცილებელია განახლებული NDC-ის მიზნების მისაღწევად.

კვლევისას იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე საჭიროებები და მათთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინტერვენციები თითოეული სექტორისთვის[1] თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია ცხრილის სახით.

- ცხრილის პირველი სვეტი შეიცავს განახლებული NDC-ის დოკუმენტსა და 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებლებს. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სექტორისთვის განახლებული NDC-ის დოკუმენტი არ შეიცავს კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებელს, არამედ მხოლოდ ზოგად მიმართულებას, რომელსაც აკონკრეტებს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია. სატყეო სექტორის გარდა ყველა სექტორისთვის სამიზნე მაჩვენებელი წარმოდგენილია 1990 წლის დონესთან შედარებით ემისიების შემცირების პროცენტის სახით.
- ცხრილის მეორე სვეტში მოცემულია სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება.
- ცხრილის მესამე სვეტი შეიცავს შემცირების ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოვლენილ საკანონმდებლო საჭიროებას.
- ცხრილის მეოთხე სვეტი განსაზღვრავს გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითად მიმართულებას.
- ცხრილის მეხუთე სვეტში დასახელებულია საკანონმდებლო ინტერვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები.
- ცხრილის მეექვსე სვეტით შემოთავაზებულია საკანონმდებლო ინტერვენციის სავარაუდო პერიოდი.

[2] საქართველოს განახლებული NDC-ის დოკუმენტი განსაზღვრავს სათბურის აირების ემისიის შემცირების ვალდებულებებს შემდეგი სექტორებისთვის: ენერგიის წარმოება და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა.

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
ჰორიზონტალური (ყველა სექტორისთვის)					
მთლიანი სათბურის აირების ემისიების 35%-ით შემცირება		არ არის დამტკიცებული დაბალემისიიანი სექტორთაშორისი გრძელვადიანი სახელმწიფო ხედვა	სახელმწიფო დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციის 2050 (LT LEDS) მიღება	მთავრობის ადმინისტრაცია	2022
		განახლებული NDC-ის სექტორებში არსებული დარგობრივი სტრატეგიები არასაკმარისად განსაზღვრავს დაბალემისიიანი განვითარების მიმართულებებს. არ არის უზრუნველყოფილი მათი ურთიერთთავსებადობა და სახელმწიფო დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციასა და კლიმატის ცვლილების 2030 სტრატეგიასთან შესაბამისობა	განახლებული NDC-ის სექტორებში არსებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება/განახლებისას დაბალემისიიანი განვითარების მიმართულებების გათვალისწინება. მათი ურთიერთთავსებადობისა და სახელმწიფო დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციასა და კლიმატის ცვლილების 2030 სტრატეგიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. MRV[2] ანგარიშგებაზე პარლამენტის მეთვალყურეობის გაძლიერება	შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები და პარლამენტი	სტრატეგიების განახლების პერიოდების შესაბამისად
		საჯარო სექტორში შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაბალემისიიანი მასალების, პროდუქტებისა და სერვისების შესყიდვების წამახალისებელ ნორმებს	ცვლილებების შეტანა კანონში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და „მწვანე შესყიდვების“ შემოღება კლიმატის შერბილების მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევისთვის. მწვანე შესყიდვებით უპირატესობა მიენიჭება მაგალითად, ენერგოეფექტურ მასალებსა და მოწყობილობებს, ელექტრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, ახალი თაობის დაბალემისიიან ელექტრო მოწყობილობებს, დაბალი გლობალური დათბობის პოტენციალის მქონე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პარლამენტი	2022-2024

[2] MRV (Monitoring, Reporting, Verification) - მონიტორინგი, ანგარიშგება და ვერიფიკაცია

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებულ ი შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
			გაგრილების/გათბობის მოწყობილობებს, რეციკლირებული მასალებითა და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიით დამზადებულ პროდუქტებს.		
ენერგიის გენერაციის და გადაცემის სექტორი					
NDC : 15% შემცირება CSAP: 18% შემცირება	განახლებადი ენერგიის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა (1.1) თბოელექტროსადგურე ბის საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება (1.2) ენერგეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება (1.4) საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერგიის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება (1.3)	არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ენერგეტიკის სექტორის გრძელვადიანი სახელმწიფო ხედვა. არ არის ჩამოყალიბებული სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად აუცილებელი ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების კოორდინაციის სისტემა.	ენერგეტიკის სექტორის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიღება განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობაზე ფოკუსით. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო აპროქსიმაციის პროცესის გაგრძელება ენერგეტიკულ სექტორში ევროკავშირის დირექტივების განხორციელებისა და "მესამე ენერგეტიკულ პაკეტში" ასახული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. მერების შეთანხმების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების და პროცედურის შემუშავება და დამტკიცება მუნიციპალიტეტებისთვის	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთავრობის ადმინისტრაცია, პარლამენტი კლიმატის ცვლილების საბჭო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (როგორც სამდივნო), მუნიციპალიტეტების საკრებულოები.	ასოცირების შეთანხმების და ენერგეტიკულ გაერთიანებაში წევრობის მოთხოვნებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად
		არ არის უზრუნველყოფილი განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის ქსელთან უსაფრთხო და პრიორიტეტული დაშვება, გადაცემა და განაწილება.	განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის ქსელთან უსაფრთხო და პრიორიტეტული დაშვების, გადაცემის და განაწილების უზრუნველყოფის მიზნით ბიზნეს საქმიანობის ხელშემწყობისა და ენერგეტიკის სექტორის დერეგულაციისთვის შესაბამისი საკანონმდებლო და	ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (სს „ენერგეტიკის განვითარების ფონდი"), მთავრობის	კანონში გაწერილი ვადების შესაბამისად

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
			მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერება, მათ შორის კანონით "განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ" გათვალისწინებული განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება და კანონქვემდებარე აქტების მიღება. და კანონით "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" გათვალისწინებული კანონქვენდებარე აქტების მიღება.	ადმინისტრაცია, პარლამენტი	
		არ არის ჩამოყალიბებული სახელწიფო პოლიტიკა და კონკრეტული მექანიზმები ბიომასის გამოყენებით ენერგიის გენერირების ხელშესაწყობად.	ენერგიის მიღების მიზნით ბიომასის გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ხედვის შემუშავება და მისი ასახვა შესაბამის დაგეგმარების დოკუმენტებში.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთავრობის ადმინისტრაცია	2022-2023
სატრანსპორტო სექტორი					
NDC: 15% შემცირება CSAP: 22% შემცირება	დაბალი ემისიის მქონე ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში (2.1) წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირების და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება (2.2)	არ არსებობს ტრანსპორტის სექტორის დაბალემისიიანი განვითარების და დეკარბონიზაციის ხედვა. ეროვნულ დონეზე არ არსებობს ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკა / ურბანული ტრანსპორტის ეროვნული სტრატეგია. ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს ტრანსპორტის სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობა.	ურბანული ტრანსპორტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ფოკუსირებული იქნება ურბანული ტრანსპორტიდან ემისიების შემცირებაზე.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ქალაქების მუნციპალიტეტები მთავრობა, პარლამენტი	2022-2023

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებულ ი შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
	საზოგადოებრივი ტრანსპორტის და არამოტორიზებული ტრანსპორტის გამოყენების წახალისება (2.3)	არასაკმარისია წამახალისებელი საგადასახადო ინსტრუმენტები დაბალემისიიანი სატრანსპორტო საშუალებების წასახალისებლად.	ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმის ცვლილების სხვადასხვა ალტერნატივის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარება (RIA) დაბალემისიიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემდგომი წახალისების მიზნით. დაბალემისიიანი/ელექტრო ავტოტრანსპორტისთვის ქონების გადასახადის პრეფერენციული კოეფიციენტის დაწესება. არამოტორიზებული ტრანსპორტისთვის იმპორტის გადასახადის პრეფერენცირებული განაკვეთის დაწესება.	ფინანსთა სამინისტრო, მთავრობა, პარლამენტი	2022-2023
			საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებულ მშენებლობის სანებართვო მოთხოვნებში ელექტრო მანქანების დამტენი ინფრასტრუქტურის შექმნის მოთხოვნის ინტეგრირება.	ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავრობა და პარლამენტი	2023-2024

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
		არასათანადოა არაეფექტიანი ძრავის ავტომობილების ხმარებიდან ამოღების ხელშემწყობი მექანიზმები.	მაღალემისიიანი ავტოტრანსპორტის იმპორტის შეზღუდვის მექანიზმების განსაზღვრა და დაწესება. არაეფექტიანი ძრავის მქონე ავტომობილების ხმარებიდან ამოღების ხელშემწყობი მექანიზმების განსაზღვრა და შემოღება.	ფინანსთა სამინისტრო, პარლამენტი	2022
შენობების სექტორი					
NDC : რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებელი არ არის განსაზღვრული CSAP: 1% შემცირება	შენობის ენერგოეფექტური სერტიფიცირების სისტემის შექმნა (3.1) შენობებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ენერგოეფექტურობის თაობაზე მომხმარებელთა ინფორმირებულობის ამაღლება (3.2) საცხოვრებელ, კომერციულ და საჯარო დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომების და ენერგოეფექტური	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში არ არის ასახული ენერგოეფექტურობის კრიტერიუმები.	ენერგოეფექტურობის საკითხის გათვალისწინება სახელმწიფო შესყიდვებში, შესაბამისი მინიმალური მოთხოვნების დაწესება სახელმწიფო შესყიდვებით შეძენილი სამშენებლო მასალებისა და ტექნიკისთვის.	ფინანსთა სამინისტრო, მთავრობა, პარლამენტი	2022-2024
		არ არის შემუშავებული სტანდარტები, ნორმები და ეტიკეტირების სქემები საყოფაცხოვრებო მოწყობილობებისთვის.	საყოფაცხოვრებო მოწყობილობებისთვის ენერგოეტიკეტირების სტანდარტების დამტკიცდება. ენერგოეფექტურობის მინიმალური ზღვარის დაწესება საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე დასაშვებად.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავრობა	2024
		არ არსებობს საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის სტანდარტების მიხედვით განახლების გრძელვადიანი სტრატეგია/გეგმა.	საბიუჯეტო სახსრებით უკვე დაგეგმილი შენობების რეაბილიტაციის პროექტებისთვის მინიმალური მოთხოვნების დაწესება ენერგოეფექტურობის კუთხით.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავრობა ფინანსთა სამინისტრო	2022-2023

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
	განათების წახალისება (3.3) წყლის გაცხელებისთვის მზის ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა (3.4) ინსტიტუციური და პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობის გაძლიერება (3.5)		ცენტრალურ და მუნიციპალურ ბიუჯეტებში ენერგოეფექტურობის სტანდარტით შენობების განახლების დაფინანსების ასახვა.		
		მშენებლობის მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები საჭიროებს განახლებას.	მშენებლობის მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების განახლება კლიმატ-ნეიტრალურობის (მ.შ. ენერგოეფექტურობის) კუთხით და მათი ჰარმონიზება ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებთან.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავრობა	2022-2024
		არ არსებობს ფინანსურ-ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომელიც წაახალისებს მზის ენერგიის პანელების/სისტემების ფართო დანერგვას.	მზის ენერგიის პანელების და წყლის გამათბობლების ადგილობრივი წარმოების წამახალისებელი სქემის აწყობა და დაბეგვრის წესის მისადაგება.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავრობა	2022-2023
		არ არის განსაზღვრული ენერგიის სფეროში ენერგოაუდიტზე მომუშავე სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. არ არსებობს სერტიფიცირების წახალისების მექანიზმები.	ენერგიის სფეროში ენერგოაუდიტზე მომუშავე სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება. სერტიფიცირების წამახალისებელი მოთხოვნების კანონმდებლობით განსაზღვრა.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2022-2023
მრეწველობის სექტორი					
NDC: 5% შემცირება CSAP: 5-13% შემცირება	სამრეწველო პროცესებიდან და ენერგიის მოხმარებიდან სათბურის აირების ემისიის შემცირება (4.1)	არ არსებობს მრეწველობის სექტორში ენერგოეფექტური მოწყობილობა-დანადგარების მოხმარებისა და მწვანე ენერგიის გამოყენების წამახალისებელი მექანიზმები.	სახელმწიფო დაფინანსებით მხარდაჭერილი წარმოებისთვის მინიმალური ენერგოეფექტურობის მოთხოვნების დაწესება.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, მთავრობა	2022-2023

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
	მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება (4.2)	არ არსებობს მხარდაჭერის სქემები, რაც წაახალისებდა ენერგიის მიღებას განახლებადი წყაროებიდან.	საწარმოო პროცესში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოყენების წახალისება. ენერგიის მიღების წამახალისებელი სქემების იდენტიფიცირება და შემუშავება მრეწველობის სექტორში განახლებადი წყაროებიდან, მაგ. ნარჩენებიდან	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2023-2025
		არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ენერგო აუდიტის განხორციელებას დაარეგულირებს.	შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ენერგოაუდიტის განხორციელების მიზნით (ენერგოეფექტურობის შესახებ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება).	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2022
სოფლის მეურნეობის სექტორი					
NDC: რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებელი არ არის განსაზღვრული CSAP: 1% შემცირება	საქონლის საკვებიდან, ნიადაგიდან და საძოვრებიდან ემისიის შემცირება ინსტიტუციური და პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობის გაძლიერება (5.1)	არასათანადოა სასოფლო-სამეურნეო მიზნით მიწის გადაწვის რეგულირების მექანიზმი.	სასოფლო-სამეურნეო მიწის გადაწვის რეულირების მიზნით სხვადასხვა ალტერნატივის შეფასება და შედარება (აკრძალვა, ან კონტროლიტებადი გადაწვა/ხანძრების გამოყენების ნებართვის სისტემის შემოღება) და შესაბამისი საკანონმდებლო ინტერვენციების განსაზღვრა/შემოღება.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარლამენტი	2022-2024
		არ არსებობს პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესების წამახალისებელი ინსტრუმენტები.	პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესების წამახალისებელი ინსტრუმენტების განსაზღვრა და შემოღება (საკვების სტანდარტებში ენტერული ფერმენტაციის შემცირების მიზნის გათვალისწინება).	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2025-2026
		არ არსებობს ნაკელის გადამუშავებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების	სოფლის მეურნეობის კარგი პრაქტიკის კოდექსის მიღება (Code of Good Agricultural Practice).	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთავრობა	2023-2024

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
		წამახალისებელი ინსტრუმენტები. არ არის დაკორექტირებული სასუქის შეტანის ნორმები სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებიდან აზოტოვანი სასუქების გამოყენების შედეგად სათბურის აირების ემისიების შესამცირებლად. არ არსებობს საძოვრების მდგრადი გამოყენების საკანონმდებლო ბაზა.	აზოტოვანი სასუქების გამოყენების ნორმების კორექტირების მიზნით შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა. საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება საძოვრების მდგრადი განვითარების მიზნით.		
		არ არსებობს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების წამახალისებელი ინსტრუმენტები.	ორგანული სოფლის მეურნეობის სასერტიფიკატო სისტემის შემოღება.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარლამენტი	2022-2025
		არ არსებობს სოფლის მეურნეობის სექტორში განახლებადი ენერგიის გამოყენების წამახალისებელი ინსტრუმენტები.	სოფლის მეურნეობის სექტორში განახლებადი წყაროებიდან, მაგ. ნარჩენებიდან, ენერგიის მიღების და გამოყენების წამახალისებელი სქემების იდენტიფიცირება და შემუშავება.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავრობა	2022-2025

სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
ნარჩენების მართვის სექტორი					
NDC: რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებელი არ	არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი	პოლიტიკისა და დაგეგმვის დოკუმენტებში არასაკმარისი აქცენტია გაკეთებული ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვაზე.	ბიოდეგრადირებადი ნარჩენების პრევენციის და კომპოსტირების მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა განახლებულ ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთავრობა	2022
არის განსაზღვრული CSAP: 26 - 41% შემცირება	სათბურის აირების ემისიების შემცირება (6.1) ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა (6.2) ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირების ემისიების შემცირება (6.3) მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება (6.4)				
		არ არის სათანადოდ დარეგულირებული მეთანის ამოღების ვალდებულება სხვადასხვა წყაროდან.	სხვადასხვა წყაროდან მეთანის ამოღების რეგულირების (ვალდებულების მოთხოვნა ან წახალისება) შემოღება.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთავრობა	2024
		არასაკმარისია მყარი ნარჩენების ზოგიერთი ფრაქციის (ქაღალდი და მუყაო, ბაღისა და პარკის ნარჩენები) ამოღებისა და რეციკლირების/კომპოსტირების ხელშემწყობი მექანიზმები.	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ტექნიკური რეგლამენტის მიღება შესაფუთი მასალებისთვის (კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებლების მოთხოვნით ქაღალდის და მუყაოს გადამუშავებისთვის) ნაჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტებში მწვანე ნარჩენების (ბაღების და პარკების) ნაკადების მართვის მიზნით. მონიტორინგის და აღსრულების მექანისზმის შემუშავება.	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები	2022-2023
		არ არსებობს სურსათის დონაციის ხელშემწყობი კანონმდებლობა (სურსათის ბანკები, საგადასახადო შეღავათები).	სურსათის დონაციის ხელშემწყობი კანონდებლობის შემუშავება და მიღება (სურსათის ბანკები, საგადასახადო შეღავათები).	პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო	2022
		სახელმწიფო შესყიდვებში არ არის გათვალისწინებული რეციკლირებული მასალებისგან დამზადებული პროდუქციის შესყიდვის მხარდამჭერი ნორმები მაგ. “მწვანე შესყიდვები”.	სახელმწიფო შესყიდვებში რეციკლირებული რეციკლირებული მასალებისგან დამზადებული პროდუქციის შესყიდვის მხარდამჭერი ნორმებისა და შესაბამისი მინიმალური მოთხოვნების დაწესება.	პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო	2022-2023

ტყის სექტორი					
სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NDC და CSAP)	CSAP-ით გათვალისწინებული შემცირების ღონისძიება	გამოვლენილი საჭიროება	საკანონმდებლო ინტერვენციის ძირითადი მიმართულება	პასუხიმგებელი და საზედამხედველო-სამეთვალყურეო როლის მქონე უწყებები	სავარაუდო პერიოდი
NDC: ნახშირბადის შთანთქმის უნარის 10%-ით გაზრდა CSAP: ნახშირბადის შთანთქმის უნარის 10%-ით გაზრდა	დეგრადირებული ტყის აღდგენა (7.1) ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა (7.2) კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება (7.3)	არ არის დამტკიცებული ტყის კოდექსით გათვალისწინებული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები	ტყის კოდექსით გათვალისწინებული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება და დამტკიცება	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთავრობა	2023-2024
		არასაკმარისია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული ენერგორესურსის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ხელშემწყობი მექანიზმები	სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული ენერგორესურსის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2024-2025
		ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტყის კოდექსის მოთხოვნებს დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ტყის ეკოსისტემების მართვისას	დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში ტყის მართვის ნაწილის მისადაგება ტყის კოდექსის მოთხოვნებთან და დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ტყეების მდგრადი მართვის განხორციელება	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,	2022-2024
		არასაკმარისია მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები მდგრადად მართონ მუნიციპალური ტყეები	ტექნიკური და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება მუნიციპალური ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2022-2023

WFD

GEO
Georgia's Environmental Outlook

UKaid
from the British people

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (განახლებული NDC) სექტორებში საკანონმდებლო ინტერვენციების **ძირითადი მიმართულებები**